სამეწარმეო-ინოვაციური კომპონენტის განვითარება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში: ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მაგალითი

სალომე კილანავა

მარიამ ჯინჭველეიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე უმაღლესი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

უმაღლესი განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

სალომე კილანავა

მარიამ ჯინჭველეიშვილი

03/07/2021

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული პრაქტიკის კვლევის შედეგს. რომელიც, ილიაუნის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

წინამდებარე პრაქტიკის კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ბარტონ კლარკისა და რორი ო'შეას სამეწარმეო-ინოვაციური უნივერსიტეტის კონცეფციები. კლარკი, ყურადღებას ამახვილებს უნივერსიტეტში ინოვაციურობის წარმატებისთვის გარე ფაქტორების კომბინაციაზე, რაც მოიცავს ფორმალურ და არაფორმალურ ნაწილებს. ფორმალური გულისხმობს: ძლიერ მმართველ ბირთვს, განვითარების სფეროების გაფართოებას და სამეწარმეო განათლებას. არაფორმალური ნაწილი კი აერთიანებს: სამეწარმეო კულტურის ინტეგრირებასა და დივერსიფიცირებულ ფონდებს. ო'შეა უნივერსიტეტში სამეწარმეო-ინოვაციური კომპონენტის განსავითარებლად მნიშვნელოვნად მიიჩნევს შიდა ფაქტორების კომბინაციას, რაც მოიცავს ადამიანურ და მატერიალურ კაპიტალს, დაფინანსების წყაროებს, ქსელური კავშირების არსებობასა (Networks) და საკომუნიკაციო არხების ფაქტორებს. აღნიშნული კონცეფციების კომბინაცია, საშუალებას იძლევა უნივერსიტეტში ვიკვლიოთ, სამეწარმო-ინოვაციური კომპონენტი სხვადასხვა რაკურსით.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, სამეწარმეო-ინოვაციური მიმართულებით განვითარების ხელშეწყობა სამეწარმეო-ინოვაციური კომპონენტის შიდა და გარე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების შესწავლით. დიაგნოსტიკა ეყრდნობოდა თეორიულ ჩარჩოს და იყენებს მონაცემების მოკრების თვისებრივ მეთოდს. დიაგნოსტირების ეტაპზე გამოვლინდა ფაკულტეტის მზაობა უნივერსიტეტში სამეწარმეო-ინოვაციურ კომპონენტის ხელშეწყობასთან

დაკავშირებით. უნივერსიტეტში არსებული კულტურა, მზაობა და ახალი გამოწვევების მიმღებლობა ხელს უწყობს სამეწარმეო-ინოვაციური მიდგომის განვითარებას. ხოლო, ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს საკომუნიკაციო არხების ნაკლები მოქნილობა. ნაკლებად მოქნილი საკომუნიკაციო არხების გასაუმჯობესებლად, შეირჩა შემდეგი ინტერვენციები: საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის და სამიზნე ფაკულტეტის სტუდენტებისთვის დისტანციურად ჩატარდა ფაბლაბ ილიაუნისა და ზუმაუთის საინფორმაციო შეხვედრა, მათი საქმიანობისა და დანიშნულების გასაცნობად. არსებული შეხვედრის ვიდეო-ჩანაწერი განთავსდა ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. პირველი ინტერვენციის შეფასება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დავიწროებულ სამიზნე ჯგუფზე მიმართული საინფორმაციო აქტივობა, უკეთეს შედეგს აღწევს სამეწარმეო-ინოვაციური კომპონენტის პოპულარიზაციის კუთხით უნივერსიტეტში. მეორე ინტერვენციად მომზადდა ორენოვანი გზამკვლევი, ილიაუნის სამიზნე საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, სამეწარმეო-ინოვაციური კომპონენტის პოპულარიზაციის გაზრდის თვალსაზრისით. ინტერვენციის სავარაუდო შედეგი ინოვაციურობის შესახებ ინფორმაციის დისემინაციაა. ეს კი, ინოვაციურობის კულტურის ჩამოყალიბებაში შეიტანს წვლილს.

საკვანძო სიტყვები: *სამეწარმეო-ინოვაციური კომპონენტი, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, მეწარმე-ინოვაციური უნივერსიტეტი, სამეწარმეო-ინოვაციური მოდელი, სამეწარმეო-ინოვაციური კომპონენტის პოპულარიზაცია.*

Abstract

This Master's thesis is a result of an action research conducted at Ilia State University, which was carried out within the framework of the Master's program in Education Administration, Faculty of Business, Technology and Education at Ilia State University.

The theoretical basis for the study of the action research is the Entrepreneurial-Innovative University concepts of Dr. Barton Clark and Dr. Rory P. O'Shea. Clark focuses on a combination of external factors for the success of innovation at the University. External Factors at university level combines both formal and nonformal interrelated factors. The formal part, includes: Entrepreneurial Organization and Governance structure, Entrepreneurial Activities and Entrepreneurship Education. Also, informal part unites following: Involvement of the University Community and Integrated Entrepreneurial Culture. O'Shea considers the combination of internal factors, which combines portion of Resources important to support Innovation Driven Enterpreneutship at university: Human Resources, Financial Resources, Facility Resources, Commercial Resources, and Capabilities: Status and Prestige, Networks and Popularization. The combination of these theories allows us to study the entrepreneurial-innovative component from different angles at Ilia State University.

The aim of the research was fostering of entrepreneurial-innovative direction at the Faculty of Business, Technology and Education of Iliauni by studying internal and external interrelated factors. Investigation of a problem is based on a theoretical framework and uses a qualitative method of data collection. At the stage of problem identification, we studied level of readiness and acceptance of the faculty to promote the entrepreneurial-innovative component. The existing culture, readiness and acceptance of new challenges at the university contribute to the development of an entrepreneurial-innovative approach. A hindering factor is the less flexibility of Networking and communication channels. Based on problems identified the following interventions were selected: For the university community an information meeting of Fablab Iliauni and Zoomout was held remotely, during presentations center prepresentatives discussed

following: their activities and functions. A video of the meeting had been transmitted through the official website of the Iliauni School of Business, Technology and Education, to promote an entrepreneurial-innovative approach at the university. Evaluating the first intervention allows us to conclude that choosing the right form of communication will increase the popularization of the entrepreneurial-innovative component in the university.

As a second intervention, a bilingual guide was prepared for the Iliauni University community to increase the popularity of the entrepreneurial-innovative component. The likely outcome of the intervention is the dissemination of information about innovation. This, in turn, will contribute to the formation of a culture of innovation at university level.

Keywords: *Entrepreneurial-Innovative Component, Knowledge-Based Economy, Entrepreneurial-Innovative University, Entrepreneurial-Innovative Model, Popularization of Entrepreneurial-Innovative Component.*

მადლობა

ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ელენე ჯიბლაძეს. ასევე, დიდ მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს ინოვაციებისა და მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით ქალბატონ ნანა დიხამინჯიას გაწეული დახმარებისა და აქტიური თანამშრომლობისათვის.

მადლობას ვუხდით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია ფაბლაბის მენეჯერს ავთანდილ მღებრიშვილს, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების კონსულტანტ თიკო მამუჩაშვილს, პრე-აქსელერატორ ზუმაუთის მენეჯერს თეონა ბებიას.

მადლობას ვუხდით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის, კერძოდ ბიზნესის სკოლის ყველა პროფესორს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და უნივერსიტეტის მენეჯმენტს, რომლებმაც აქტიურად ითანამშრომლეს ჩვენთან პრაქტიკის კვლევის ფარგლებში.